DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Mindorashvili, D. / მინდორაშვილი, დ. / Миндорашвили, Д.В.
- Title: დარიალის ციხე (1988-1989 წწ. არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები) / Дарьяльская Крепость ( Основные Итоги раскопок 1988-1989 гг.)
- Publication Date: 1991
- Publisher: Georgian National Academy of Sciences, GNM Archaeological Center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_cef08363a6

## About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

## Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

დავით მინდორაშვილი

# დარიალის ციხე

( 1988-89 წწ. არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები )

დარიალის ციხე ისტორიული ხევის ერთ-ერთი უძველესი სიმაგრეა, რომელიც კონტროლს უწევდა ხეობაზე გამავალ ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალს ( სურ. I ).

ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მომთაბარე ტომებისაგან თავის დასაცავად დარიალის ციხისა და საერთოდ, მთელი ხეობის გამაგრებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის მთელ მანძილზე. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში ქართველ მეფეებს დარიალის გზით ხშირად გადმოჰყავდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებული ლაშქარი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართულ და უცხოურ წყაროებში დარიალის ციხე უკვე ახ.წ. I საუკუნისათვის იხსენიება ( ლეონტი მროველი, პლინიუსი, მოსე ხორენაცი). წყაროების მიხედვით,. ვახტანგ გორგასალს დარიალის ციხეზე დიდი სამშენებლო სამუშაოები უწარმოებია და ხეობა საიმედოდ გაუმაგრებია. ( 1, გვ. 156 ). ამის მატერიალური დადასტურებაა ციხეზე შემორჩენილი კედლების ერთი ნაწილი, რომელიც იზოდომური წყობითაა ნაგები. მსგავსი წყობის მქონე კედლები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ადრე შუასაუკუნეების ძეგლებზე (2,გვ.129). კლასიკური სახითაა წარმოდგენილი იგი უჯარმაში, რომელიც ვახტანგ გორგასალის აშენებულია. " ...ვახტანგ დაჯდა უჯარმასა და აღაშენა იგი ნაშენებითა უცხოთა " ( 1,გვ.136) გვაქვს საფუძველი, დარიალის ციხის ამგვარი წესით ნაგები კედლებიც უჯარმის თანადროულად მივიჩნიოთ და V ს. მეორე ნახევრით, ან VI ს დასაწყისით დავათარიღოთ.

ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, VI საუკუნის 30-იან წლებში ირანელებმა დარიალის გზას იგდეს ხელთ ( 3,.გვ.95 ). ირანელთა ბატონობა შემდგომ არაბების დაპყრობით შეიცვალა. არაბთა მიერ დარიალის გზის კონტროლს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ხაზარები*, რომლებიც წარმატებით ებრძოდნენ რა არაბებს, გა-

გაბატონებულ მდგომარეობას იკავებდნენ კახეთისა და შიდა ქართლის მთიანეთში ( 4, გვ. 147 ).

დარიალის გზას დიდი ყურადღება ეთმობოდა დავით აღმაშენებლის დროსაც. მუდმივი ჯარის შესაქმნელად დავითმა ყივჩაყები დარიალის გზით გადმოიყვანა. ყივჩაყებს საქართველოში შესასვლამდე ოსების ტერიტორიაზე უნდა გაევლოთ. უკანასკნელნი მტრულად იყვნენ განწყობილნი ყივჩაყების მიმართ. ამისათვის " ბრძანა მეფემან წასვლა ოვსეთს... შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი... და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე ოვსთა და ყივჩაყთა. აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი და. შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვის..." (1, გვ. 336 ). ამ ცნობაზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება, რომ მანამდე, ვ.ი. დავითის მიერ ყივჩაყების საქართველოში გადმოყვანამდე " დარიალის კარი ოსთა ხელში ყოფილა ", რომ დავითმა " ოსებს წაართვა დარიალის ციხე და იქ თავისი ჯარი ჩააყენა " ( 5, გვ.52) დასკვნა უმართებულოა! მართალია, წყაროს მიხედვით დავითმა "აღიხუნა ციხენი დარიალისა," მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, იმას რომ დარიალის ხეობაში არსებული ციხეები მანამდე ოსებს ეკავათ. წარმოუდგენელია ის გარემოება ,რომ ოსები თავის დროზე დარიალის ხეობაში გაბატონებულიყვნენ და ქართულ წყაროებში ამ მოვლენას ასახვა არ ეპოვა. მით უმეტეს, რომ საქართველოსათვის დარიალის ხეობაზე გამავალ გზას ყოველთვის ჰქონდა უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. წყაროში საუბარია დარიალის ციხეებზე უშუალო სამეფო კონტროლის დაწესებაზე და არა დავითის მიერ მათი ოსებისაგან განთავისუფლებაზე.

დარიალის ციხეს საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრების დაცვის ფუნქცია გვიან შუასაუკუნეებშიაც არ დაუკარგავს და იმ პერიოდშიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტად გვევლინება.

დარიალის ციხეზე არქეოლოგიური სამუშაოები ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ჩატარდა ( 6, გვ. 247 ). ციხის ტერიტორია რამდენიმე სეზონის მანძილზე ითხრებოდა 60-70-იან წლებში ( 7, გვ. 71-74; 8, გვ. 93-108 ).

1988-89 წწ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ( ხელმძღვანელი რ.

რამიშვილი) ძეგლის მიდამოებში გზის ახალი ტრასის მშენებლობას-თან დაკავშირებით ჩატარდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება დარიალის ციხესა და მის სამხროვანზე. გათხრები რამდენიმე უბანზე წარმოებდა:

ციხის ჩრდილო-დასავლეთი ფერდობის ძირას, ვიწრო ყელი, სადაც ჩრდილოეთი კარიბჭე უნდა ყოფილიყო, გამაგრებულია V საუკუნის მეორე ნახევრის იბერიული წყობით ნაგები 2,6 მ. სისქის კედლით. უაღრესად საინტერესოა ის გარემოება, რომ V საუკუნის მეორე ნახევრის კედელი დაშენებულია უფრო ძველ და უფრო მძლავრ კედელზე, რომლის სისქე 6 მეტრია, სიმაღლე კი ჯერჯერობით 5 მეტრამდეა გამოვლენილი. ზედა კედლისგან განსხვავებით, იგი მშრალი წყობითაა ნაგები. კედლის პე-რანგებად გამოყენებულია დიდრონი დაუმუშავებელი ქვიშაქვის ლოდები. პერანგებს შორის არსებული სივრცე შევსებულია მცირე ზომის ქვებით ( სურ. II ). დარიალის ციხეზე ასეთი მძლავრი კედლის აღმოჩენის ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა, იმისა თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მას ჩრდილოეთიდან მოწოლილი მომთაბარე ურდოების შეკავე-ბის საქმეში. გათხრების დამთავრებამდე ძნელი სათქმელია რა სიგრძის იყო ქვედა კედელი. შესაძლოა იგი მხოლოდ ციხის ვიწრო ყელს კე-ტავდა 40-50 მეტრის სიგანეზე. ვინაიდან ციხის მთელ დასავლეთ, საკ-მაოდ ციცაბო ფერდზე ასეთი მასშტაბური, მშრალი წყობით ნაგები კედ-ლის არსებობა რამდენადმე საეჭვოა.

რადგან კირხსნარით ნაგები V საუკუნის მეორე ნახევრის კედელი უშუალოდაა დაშენებული ქვედა კედელზე, უეჭველია ქვედა კედლის ფუნ-ქციონირება V საუკუნის შუა ხანებში, ან მესამე მეოთხედში შეუწ-ყვეტია. კედლის საბოლოო შესწავლამდე ძნელია მისი აშენების თარიღის დადგენა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთ გრანდიო-ზულ სასიმაგრო კედელს, უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ადგილას ერთი, ან ორი საუკუნისათვის არ ააგებდნენ, საფიქრებელია, რომ კედლის აშენების თარიღი წინასწარულად თუ უფრო ადრე არა, ახალი წელთაღრიც-ხვის საწყისი საუკუნეებით მაინც უნდა განისაზღვროს. ასე, რომ სავ-სებით სარწმუნოა ქართველი და უცხოელი ავტორის ცნობები ახ. წ. I საუკუნისათვის ამ ადგილას ციხის არსებობის შესახებ. ჩანს, ვახტანგ გორგასალის სამშენებლო სამუშაოები შიშველ ადგილას კი არ უწარმოე-ბია, არამედ უკვე არსებული ციხე გაუმაგრებია.

აღნიშნული კედლის სამხრეთით 200-ოდე მეტრის დაშორებით, ციხის დასავლეთი ფერდობის ძირას გამოვლინდა ხაროიანი ნაგებობის ნაშთები ( სურ.III). სამწუხაროდ ნაგებობის დიდი ნაწილი გზის ტრასის მშენებლობას შეეწირა. ნაწილობრივ გადარჩენილია შენობის აღმოსავლეთი მხარე. სამეურნეო ხარო გეგმაში წრიულია. ნაგებია ქვიშაქვის ქვებით. შელესილია თიხით. ხაროს სიღრმე 2 მეტრია. დიამეტრი 80 სმ. ნაგებობაში გამოვლინდა ფიქალის ფილებით შედგენილი კვადრატული მოყვანილობის კერა და მიწაში პირამდე ჩადგმული თონე, რომელსაც ძირზე საქარე ნახვრეტი გააჩნდა. საქარიანი თონის ტიპი დამახასიათებელია იმ რეგიონებისათვის, სადაც ტყე ნაკლებია, ან სულ არ არის და საწვავად ნეხვია გამოყენებული. ამ მხრივ დარიალის ციხეზე საქარიანი თონის აღმოჩენის ფაქტი შეუმჩნევლად არ გამოიყურება. იატაკის დონეზე მიკვლეული მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკის მიხედვით, ნაგებობა XII-XIII სს თარიღდება.

გათხრები შეეხო ზედა ციხის ცენტრალურ ნაწილსაც, სადაც გამოვლინდა კირხსნარით ნაგები საცხოვრებელი შენობის ნაშთი (სურ.IV). აქ აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმის მიხედვით ნაგებობა განვითარებულ შუასაუკუნეებს მიეკუთვნება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გათხრებისას მრავლად შეხვედროდა ღარიანი და ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები, ჩანს, კრამიტს დარიალის ციხეზე ფართო გამოყენება ჰქონდა. გათხრებისას აღმოჩენილი, აგრეთვე სასიმაგრო კედლებში აქა-იქ ჩაშენებული წყალსადენის მილები იმაზე მიუთითებს, რომ ციხის მოსახლეობას წყალსადენის სისტემაც გააჩნდა.

ციხის ტერიტორიაზე მარცვლეულის შესანახი ხაროს, თონის, ხელნისქვილის ქვების აღმოჩენის ფაქტები დასტურია იმისა, რომ ხევის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად დარგს მარცვლეული კულტურების მოყვანა შეადგენდა. ვახუშტი ბაგრატიონი ხევის მეურნეობის დახასიათებისას უპირატესობას მიწათმოქმედებას ანიჭებდა, ხოლო მესაქონლეობა შედარებით მეორე ხარისხოვან დარგად მიაჩნდა მისი აზრით "ჴეობა ჴევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქერისა, სელისა, შვრიისა, მოსავლით ძალითამდე" ( 9, გვ. 358). შუასაუკუნეების ხევში მიწათმოქმედების წამყვან როლზე ეთნოგრაფიული მასალებიც მიუთითებენ ( 10, გვ. 332 ) მხოლოდ ბოლო ორი საუკუნის

განმავლობაში დაწინაურებულმა მეცხვარეობამ. ხევში თანდათან უკანა პლანზე გადასწია მიწათმოქმედება .(10, იქვე) .

გათხრებისას აღმოჩენილი ადრე, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების კერამიკულ ნაწარმს ( სურ.V ) მრავლად მოეპოვება პარალელები აღმოსავლეთ საქართველოს შუასაუკუნეების ძეგლებიდან მომდინარე კერამიკის სახით. ცალკე გამოიყოფა ერთი ჯგუფი სამეთუნეო ნაწარმისა, რომელიც კეცით, ფორმითა თუ ორნამენტის მიხედვით შუასაუკუნეების ქართული კერამიკისაგან სრულიად განსხვავებულ იერსახეს ატარებს ( სურ.VI ). მსგავსი კერამიკა ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიის შუასაუკუნეების ძეგლებზე. აღნიშნული ჯგუფის ჭურჭელი დარიალის ციხეზე ჩრდილოეთ კავკასიიდან უნდა იყოს შემოტანილი.

ხევი ძალზე ღარიბია თიხნარი ნიადაგებით და იქ ადგილობრივი კერამიკული წარმოება არ არსებობდა ( 8, გვ. 99 ). ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ხევის მოსახლეობას კერამიკული ნაწარმი შემოჰქონდა ქართლის რაიონებიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან მეცხოველეობის ჭარბი პროდუქციის საფასურად. ( 10, გვ. 332 ). მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო შუასაუკუნეებშიც, რაც კარგად აისახა კიდეც განათხარ კერამიკაში . ჩანს, ხევის მოსახლეობას შუასაუკუნეებში მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ჰქონდა როგორც ქართლის რაიონებთან , ისე ჩრდილოეთ კავკასიასთან.

დარიალის ციხის სამხრეთით მიმდებარე ვრცელი ფართობი სამაროვანს უკავია ( სურ. VII ) 1988-89 წლებში აქ 31 სამარხი გაითხარა. სამარხები საკმაოდ მჭიდროდაა განლაგებული. სამარხის კედლები შედგენილია ქვიშაქვის მოგრძო ქვების ერთი, ან იშვიათად ორი რიგისგან და გადახურული აქვს ქვიშაქვის რამდენიმე ფილა. მიცვალებულები უშუალოდ გრუნტზეა დაკრძალული. სამარხები დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ყველა მათგანი ინდივიდუალურია. 18 სამარხში ძვლები არაა შემორჩენილი. თავის ქალის მცირე ფრაგმენტები აღმოჩნდა 3 სამარხში . ქრისტიანული წესით დაკრძალვა დგინდება 6 სამარხში. 4 სამარხში მიცვალებულები წარმართული წესით იყვნენ დაკრძალული, მარჯვენა გვერდზე, ოდნავ ფეხმოკეცილი. სამარხები უინვენტაროა. სავარაუდოა, რომ ისინი შუასაუკუნეების სამარხებს წარმოადგენენ, თუმცა კონკრეტული თარიღის გან-

სამხრეთ გასავლები მიმავალ გზით ქართლს. საინტერესოა ის გარემოება, რომ სამაროვანზე ვხვდებით დაკრძალვის ქრისტიანული და წარმართული წესის თანაარსებობას, რაც შეიძლება აიხსნას მთაში წარმართული რწმენა-წარმოდგენების კონსერვატიულობით.

სამარხებიდან 11 მოზრდილი და ჩვილი ბავშვისაა, ჩვენს ციხეზე მოსახლეობას ოჯახებით უცხოვრია და ბუნებრივია მათ საკუთარი მეურ-ნეობაც ექნებოდათ. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ გარდა წმინდა სტრატეგიული მნიშვნელობისა, დარიალის ციხე ხევის ერთიან სამეურნეო-ეკონომიკურ სისტემაშიც საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა.

ასეთია 1988-89 წ.წ. დარიალის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები.

დარიალის ციხის შესწავლა უაღრესად პერსპექტიულია იმ მხრივ, რომ აქ გამოვლენილი მასალები ნათელს მოჰფენს არა მარტო საკუთ-რივ ისტორიული ხევის წარსულის ბევრ ბუნდოვან საკითხს, არამედ მნიშვნელოვან წვლილსაც შეიტანს საქართველოს მთისა და ბარის, აგრე-თვე ჩრდილოეთკავკასია-ამიერკავკასიის ურთიერთობების გარკვევის საქმეში.

## დამოწმებული ლიტერატურა


1. ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955.
2. ვ.ჯაფარიძე, ვარდციხის ნაქალაქარი , თბ., 1989 .
3. მოქცევაჲ ქართლისაჲ . ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1964.
4. ჯ.გვასალია , არაგვის კარი ( დარიალანი ), კრებული ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976 .
5. პ.ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988.
6. А.П.Круглов, Археологические работи на реке Терек, СА, № 3, М-Л., 1937.
7. რ. რამიშვილი, გ.ჯორბენაძე, ლ.ჩითლანაძე , ზ.წერეთელი... ჟინვალის ექსპედიცია, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წ., თბ., 1974 .

8. ლ.ჩითლანაძე, ხევში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები, მაცნე № 1, თბ., 1977

9. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973.

10. გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, სსმმ, ტ. XXII-B, თბ., 1961.

* წანარები – ისტორიული ხევის მოსახლეობა ადრე შუასაუკუნეებში.

Д.В.МИНДОРАШВИЛИ

# ДАРЬЯЛЬСКАЯ КРЕПОСТЬ

## ( ОСНОВНЫЕ ИТОГИ РАСКОПОК 1988-1989 гг.)

Одним из важнейших памятников исторического Хеви, является Дарьяльская крепость, которая контролировала торгово-транзитную дорогу связывающую Закавказье с Предкавказьей.

В письменных источниках Дарьяльская крепость упоминается уже к I в. н.э. ( Плиний, Леонтий Мровели).

В 1988-1989 гг. была изучена северо-западная часть крепости, где под оборонительной стеной У в. н.э. обнаружена более древняя и мощная стена на сухой кладке шириной 6 м. Начальный этап построения нижней стены предварительно можно отнести к первым векам нашей эры.

Раскопкам подверглись цитадель и западная часть крепости, где расчищены остатки жилых помещений развитого средневековья.

Раскопки велись на могильнике крепости, где обнаружены 3I безинвентарные, индивидуальные каменные ящики, ориентированные по линии ВЗ. Погребенные лежали на спине в вытянутом положении, лицом на восток. В 4-х случаях погребенные лежали на правом боку со слегка согнутыми коленями.

Синкретизация христьянского и языческого погребального обряда на могильнике Дарьяльской крепости можно обьяснить консерватизмам языческих представлений в горных районах Грузии.




II
0
4


III
0
3


N
IV
0
3



V



VI



VII

МИНДОРАШВИЛИ ДАВИД ВАЛЕРЬЯНОВИЧ

# ДАРЬЯЛЬСКАЯ КРЕПОСТЬ

## (ОСНОВНЫЕ ИТОГИ РАСКОПОК 1988—1989 гг.)

ფასი 20 კაპ.

შეკვეთა 2232. ტირაჟი 200.

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19

50 agorha

IVE
5048